ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

15-21ივლისი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია გაერთიანებულ სამეფოში

ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციამ, გავრცელებულ წერილში დაადასტურა ინფორმაცია ჰითროუს აეროპორტში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში, კანადის ორი მოქალაქის ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დაკავების შესახებ. მეტროპოლიტენის პოლიცია, დაკავებულების ვინაობის შესახებ ინფორმაციას ამ დრომდე არ ავრცელებს.

18.07.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ერაყში

ერაყის კონტრტერორისტული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს ინფორმაციას კირკუკში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ სამალავზე მიტანილი წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად ლიკვიდირებული 5 მებრძოლის შესახებ. აღნიშნულ განცხადებაში ასევე საუბარია, ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფედერალური სადაზვერვო-საგამოძიებო სამსახურის მიერ, ხსენებული საჰაერო დარტყმების პარალელურად კირკუკში დაკავებული ტერორისტული ორგანიზაციის 2 წევრის შესახებ.

19.07.2023

თავდასხმა იერუსალიმში

ისრაელის უშიშროების სააგენტო, „შინ ბეთი“, გასულ კვირას ზედეკის სამედიცინო ცენტრში ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობებით გადაყვანილ მამაკაცთან დაკავშირებით საგამოძიებო სამუშაოებს აწარმოებს. საგამოძიებო უწყებების განმარტებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი „გილოს“ უბანში მომხდარი თავდასხმა ტერორისტულს წარმოადგენდეს.

20.07.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ნიგერიაში

ნიგერიის საჰაერო ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაადასტურა ინფორმაცია ოპერაცია „ჰადარინ დაჯის“ (ქართ. „საფრთხეებით სავსე ტყე“) ფარგლებში, კაცინას შტატში განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად, ნიგერიის ხელისუფლების მიერ ტერორისტად გამოცხადებულ ალჰაჯი აბდულკარინ ლავალის ერთგული 22 მებრძოლის ნეიტრალიზაციის შესახებ.

21.07.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია სომალიში

აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის (AFRICOM) ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია გალკადთან ახლოს (სომალი) ალ კაიდასთან აფილირებული ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბააბის (ქართ. „ახალგაზრდობა“) სამალავზე მიტანილი წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად, მისი სულ მცირე 5 წევრის ლიკვიდაციის შესახებ.

20.07.2023

სუიციდური თავდასხმა პაკისტანში

ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციის დედაქალაქ პეშავარში, სამხედრო ფურგონზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად სულ მცირე 8 ადამიანი დაშავდა. საგამოძიებო უწყებების განმარტებით, სუიციდურ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია. საყურადღებოა, ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციაში ბოლო პერიოდში ხელახლა გააქტიურებული ტერორისტული ორგანიზაცია - „თეჰრიკ-ე-თალიბანი“ (ქართ. „პაკისტანის თალიბანი“).

18.07.2023

ტერორისტული თავდასხმა პაკისტანში

პეშავარში, ბარას უბნის ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლის, ახტარ ჰაიატის განცხადებით, გასულ კვირას სამართალდამცავი და სამთავრობო სამსახურების შენობებზე განხორციელებული ორი სუიციდური თავდასხმის

შედეგად დაიღუპა ოთხი და მძიმედ დაშავდა თერთმეტი ადამიანი. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არცერთ ტერორისტულ თავდასხმას არ აუღია.

19.07.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია პაკისტანში

ხაიბერ-პახტუნხვას რეგიონის საპატრულო სამსახურის ადმინისტრაციის უფროსმა, კანტ ვაკას რაფიკმა გამოცემა Dawn.com-თან საუბრისას დაადასტურა ინფორმაცია კონტრტერორისტული დეპარტამენტის საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, ავღანეთთან სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე დაგეგმილი თავდასხმის აღკვეთისა და 7 ტერორისტის დაკავების შესახებ. კანტ რაფიკის განმარტებით, დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირის დადგენის მიზნით გამოძიება მიმდინარეობს.

21.07.2023